GREEN CLIMATE FUND

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

შვედეთი
Sverige

UNDP

# გაიგე მეტი მწვანე და აგრარული პროფესიების შესახებ



**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობაა ქვეყნის მასშტაბით, რაც გულისხმობს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე მორგებული პროგრამებისა და აქტივობების განხორციელებას. ამ გზით, ცენტრი უზრუნველყოფს გაზიარებული ცოდნის საფუძველზე საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და საქართველოს მოქალაქეებში გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.**
**პუბლიკაციის მიზანია გარემოსდაცვითი და აგრარული პროფესიების პოპულარიზაცია სკოლის დამამთავრებელი საფეხურის მოსწავლეებში. პუბლიკაცია აერთიანებს პროფესიულ პროგრამებს, რომლებიც საქართველოში არსებულ სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში ისწავლება. ბროშურა ასევე მოიცავს შესაბამის დასაქმების სფეროებს.**

---

*პუბლიკაცია მომზადდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ და დაიბეჭდა პროგრამის - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც თანადაფინანსებულია საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), შვედეთის და შვეიცარიის მთავრობების მიერ, ხოლო მის განხორციელებას გაეროს განვითარების პროგრამა უზრუნველყოფს (UNDP).*

*გრაფიკული დიზაინერი:*
*გიორგი ქინქლაძე - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი*


ჰაერის კონდიცირება
მებაღეობა
მეხილეობა
ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება
სატყეო საქმე
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
მეფუტკრეობა
მევენახეობა-მეღვინეობა
დეკორატიული მებაღეობა
რძის პროდუქტების წარმოება
ფერმერობა/ფერმერი
ფერმერი
მებოსტნეობა/მებოსტნე
ფერმერობა მეთევზეობაში
ვეტერინარია
ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში
თევზის გადამუშავება
ბაღის დიზაინი

პროგრამა

# მებაღეობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის: მებაღეობის ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტს, მეყვავილეობას, სასათბურე მეთოდებს, სანერგეების მართვას და სხვა. პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს ნიადაგის დამუშავებას, ღია და დახურულ გრუნტში მცენარეების დარგვასა და მოვლას, დეკორატიული მცენარეების გამრავლებას და სხვლა-ფორმირებას, ბაღის სხვადასხვა მხატვრული ელემენტებით მოწყობის დაგეგმვასა და განხორციელებას.

| პროფესიული სასწავლებელი: | მდებარეობა: |
|---|---|
| სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბათუმი |
| ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი | თბილისი |
| სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი | მცხეთა |
| სსიპ - კოლეჯი „მოდუსი" | რუსთავი |
| სსიპ - კოლეჯი „ფაზისი" | ხობი |
| ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტი“ | ჩოხატაური |
| სსიპ - კოლეჯი „აისი“ | ლაგოდეხი |

## დასაქმების სფერო:

- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურები)
- დეკორატიული მცენარეების სანერგე მეურნეობები
- სამშენებლო კომპანიები
- ბოტანიკური ბაღები



პროგრამა

# მეხილეობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს მეხილეობასთან დაკავშირებულ ფართო ცოდნას და გამოუმუშავდება შესაბამისი უნარ-ჩვევები.

| პროფესიული სასწავლებელი: | მდებარეობა: |
|---|---|
| სსიპ - კოლეჯი „ლაკადა" | წალენჯიხა |
| სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი | მცხეთა, თიანეთი |
| ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტი" | ჩოხატაური |
| სსიპ - კოლეჯი „მოდუსი" | მარნეული |
| ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადი" | გორი |

**დასაქმების სფერო:**

- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- საბაღე ფართობები



პროგრამა

# სატყეო საქმე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ტყის გაშენებას, კულტივირებას, მოვლასა და მართვას. სტუდენტს გამოუმუშავდება შემდეგი უნარ-ჩვევები: უსაფრთხოდ განახორციელებს ტყეში სატყეო სამეურნეო ღონისძიებებს, მათ შორის: ხე-ტყის დამზადებას, ტყის აღდგენის ღონისძიებებს (თესლის შეგროვება, თესვა, დარგვა, სანერგის მოწყობა და სხვა), ხე-ტყის დახარისხებას, უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვასა და მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

| პროფესიული სასწავლებელი: | მდებარეობა: |
|---|---|
| სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბათუმი |
| სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ახალქალაქი |
| სსიპ - კოლეჯი "აისი" | ლაგოდეხი, გურჯაანი |
| სსიპ - კოლეჯი "თეთნულდი" | მესტია |
| სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა" | ქობულეთი, ხულო |
| სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი | მცხეთა, თიანეთი |
| ა(ა)იპ - კოლეჯი "პრესტიჟი" | თელავი |
| სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი" | ახალციხე |

## დასაქმების სფერო:

- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- კერძო სექტორი, საშუალო და მსხვილი ბიზნეს ორგანიზაციები (ლიცენზიის მფლობელები)



პროგრამა

# მეფუტკრეობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დაეუფლება ისეთ უნარებს, როგორიცაა: ფუტკრის სეზონური მოვლა და შენახვა, ფუტკრის სკის დამზადება, ფუტკრის პროდუქტების (დინდგელი, ცვილი, ყვავილის მტვერი, რძე, შხამი) მიღება და რეალიზაცია.

| პროფესიული სასწავლებელი: | მდებარეობა: |
|---|---|
| სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | სენაკი |
| სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“ | ქობულეთი, ხულო |
| სსიპ - კოლეჯი „აისი“ | გურჯაანი, ლაგოდეხი |
| სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი | მცხეთა, თიანეთი |
| სსიპ - კოლეჯი “ბლექსი” | ქედა |

## დასაქმების სფერო:

- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- კერძო სექტორი, საშუალო და მსხვილი ბიზნეს ორგანიზაციები (ლიცენზიის მფლობელები)



პროგრამა

# დეკორატიული მებაღეობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის მებაღეობის ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტს, მეყვავილეობას, სასათბურე მეთოდებს, სანერგეების მართვას, მცენარის სხვლა-ფორმირებას, დეკორატიული მცენარეების გენერაციული, ვეგეტატიური და ქსენოვეგეტატიური გზით გამრავლებას. სტუდენტი შეძლებს დაგეგმოს და განახორციელოს ბაღის სხვადასხვა მხატვრული ელემენტებით მოწყობა.

### პროფესიული სასწავლებელი:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### მდებარეობა:

სენაკი, ზუგდიდი

### დასაქმების სფერო:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახური)
- ბოტანიკური ბაღი
- სამშენებლო კომპანიები
- დიზაინერული პროფილის ოფისები



პროგრამა

# ფერმერობა/ფერმერი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის მცენარეული კულტურების მოყვანასა და მოვლას, აგრეთვე ცხოველების მოშენებას, კვებასა და მოვლას. პროგრამა მოიცავს აგრარული მეურნეობის მენეჯმენტსა და ფუნქციონირებას, ასევე, გადაუმუშავებელი მცენარეული და ცხოველური პროდუქციის წარმოებას.

| პროფესიული სასწავლებელი: | მდებარეობა: |
|---|---|
| სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | სენაკი |
| შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია | დმანისი |
| სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“ | ახალციხე |

**დასაქმების სფერო:**

- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებელი კომპანიები



პროგრამა

# მებოსტნეობა/მებოსტნე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ბოსტნეული კულტურების მოყვანასა და მოვლას. პროგრამა მოიცავს აგრარული მეურნეობის მენეჯმენტსა და ფუნქციონირებას.

| პროფესიული სასწავლებელი: | მდებარეობა: |
|---|---|
| სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ახალქალაქი |
| სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | სენაკი |
| ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადი“ | გორი |
| სსიპ - კასპის კოლეჯი | კასპი |
| სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“ | მარნეული |

**დასაქმების სფერო:**

- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებელი კომპანიები



პროგრამა

# ვეტერინარია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ცხოველების დაზიანებებისა და დაავადებების პრევენციას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, ასევე, მათ ზოგად მოვლას. პროგრამა მოიცავს: ვეტერინარულ კლინიკაში ავადმყოფი, დაშავებული და დაუძლურებული ცხოველების მკურნალობას, ასევე ვეტერინარის ასისტენტის პროგრამას.

| პროფესიული სასწავლებელი: | მდებარეობა: |
|---|---|
| სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | სენაკი |
| სსიპ - კოლეჯი “ახალი ტალღა” | ხულო |
| სსიპ - კოლეჯი “აისი” | გურჯაანი |
| სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“ | ახალციხე |
| შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი | გორი |
| შპს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი | საგარეჯო |

## დასაქმების სფერო:

- ვეტერინარული კლინიკები
- ფერმერული მეურნეობები
- ვეტერინარული აფთიაქები და ლაბორატორიები
- ზოოპარკი
- ზოომაღაზიები
- ცხოველთა თავშესაფრები
- საკონსულტაციო ცენტრები



პროგრამა

# ბაღის დიზაინი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის მებაღეობის ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტს, მეყვავილეობას, სასათბურე მეთოდებს, სანერგეების მართვას, ლანდშაფტის მებაღეობასა და სხვა.

| პროფესიული სასწავლებელი: | მდებარეობა: |
|---|---|
| სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ქუთაისი |
| სსიპ - კოლეჯი “ახალი ტალღა” | ქობულეთი |
| ა(ა)იპ - კოლეჯი “ჰორიზონტი” | ოზურგეთი |
| ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი | თბილისი |

## დასაქმების სფერო:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახური)
- სანერგე მეურნეობები
- დახურული გრუნტისა და სასათბურე მეურნეობები
- სამშენებლო კომპანიები
- დიზაინერული პროფილის ოფისები
- ბოტანიკური ბაღები



პროგრამა

# თევზის გადამუშავება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის თევზისა და ზღვის სხვა საკვები პროდუქტების მოშენებას, გამრავლებასა და პროდუქციის მიღებას.

**პროფესიული სასწავლებელი:**

სსიპ - კოლეჯი „ფაზისი"

**მდებარეობა:**

ფოთი

**დასაქმების სფერო:**

- თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები



პროგრამა

# ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის: თევზის საარსებო გარემოს და მისი ოპტიმიზაციის მექანიზმებს, გარემოსდაცვით საკითხებს მეთევზეობაში, შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს თევზისა და ზღვის პროდუქციის ლაბორატორიაში, თევზის გადამუშავების საკითხებს, თევზის ფერმერული მეურნეობის მართვას, თევზის/ზღვის პროდუქტებისა და თევზის საარსებო გარემოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი, მიკრობიოლოგიური ანალიზის ჩატარებას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

**პროფესიული სასწავლებელი:**

სსიპ - კოლეჯი „ფაზისი"

**მდებარეობა:**

ფოთი

**დასაქმების სფერო:**

- თევზის ინდუსტრიის და კვების მრეწველობის ლაბორატორიები
- აკვაკულტურის მეურნეობები და თევზსაშენები
- სურსათის საგამოცდო ლაბორატორიები
- სერტიფიცირების ორგანოები
- თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები (მათ შორის თევზსაჭერი გემები)
- სატბორე მეურნეობები



პროგრამა

# ფერმერობა მეთევზეობაში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის თევზისა და ზღვის სხვა საკვები პროდუქტების მოშენებას, გამრავლებასა და პროდუქციის მიღებას.

**პროფესიული სასწავლებელი:**

სსიპ - კოლეჯი „ფაზისი"

**მდებარეობა:**

ფოთი

**დასაქმების სფერო:**

- თევზისა და ზღვის პროდუქტების ლაბორატორიები
- მეთევზეობის ფერმერული მეურნეობები



პროგრამა

# ფერმერი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის მცენარეული კულტურების მოყვანასა და მოვლას, ასევე, ცხოველების მოშენებას, კვებასა და მოვლას. პროგრამა მოიცავს აგრარული მეურნეობის მენეჯმენტსა და ფუნქციონირებას, ასევე, გადაუმუშავებელი მცენარეული და ცხოველური პროდუქციის წარმოებას.

| პროფესიული სასწავლებელი: | მდებარეობა: |
| --- | --- |
| სსიპ - კოლეჯი „ფაზისი" 2024 წლიდან | ფოთი |
| შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია | დმანისი |

**დასაქმების სფერო:**

- ფერმერული მეურნობები



პროგრამა

# ᲠᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ლაბორატორიულ სამუშაოებს, კერძოდ, რძის ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების განსაზღვრას, რძის მჟავიანობის დადგენას, სიმკვრივის განსაზღვრას, რძის ალკოჰოლური სინჯით რძის თერმომდგრადობისა და pH-ის განსაზღვრას.

| ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ: | ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲐ: |
| --- | --- |
| სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი | გორი |
| შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია | დმანისი |
| სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი | მცხეთა |

## ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝ:

- ყველის ქარხნები
- რძის პროდუქტების მწარმოებელი ქარხნები
- ფერმერული მეურნეობები



პროგრამა

# მევენახეობა-მეღვინეობა

პროგრამის მიზანია სტუდენტებისათვის თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით მევენახე-მეღვინესათვის საჭირო ცოდნისა და უნარების მიწოდება. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის მევენახეობა-მეღვინეობის ძირითად საკითხებს.

| პროფესიული სასწავლებელი: | მდებარეობა: |
|---|---|
| სსიპ - კოლეჯი "აისი" | გურჯაანი |
| ა(ა)იპ - კოლეჯი "პრესტიჟი" | თელავი |

**დასაქმების სფერო:**

- ფერმერული მეურნეობები
- სანერგე მეურნეობები
- კერძო კომპანიები
- სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებელი კომპანიები



პროგრამა

# შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

პროფესიული პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებს. სტუდენტი შეძლებს დანერგოს დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების შრომის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სისტემა, შექმნას შესაბამისი პრევენციის მექანიზმები და უზრუნველყოს ეფექტიანი მართვა ჯანსაღი და ღირსეული საქმიანობისათვის.

| პროფესიული სასწავლებელი: | მდებარეობა: |
|---|---|
| ა(ა)იპ - ჯიპა - საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | თბილისი |
| შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია | თბილისი |
| ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2 | ზესტაფონი |
| სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“ | თბილისი |
| სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“ | ბათუმი |
| ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი | თბილისი |
| სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“ | ფოთი |
| შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA | თბილისი |

**დასაქმების სფერო:**

- საგანმანათლებლო დაწესებულებები (უსაფრთხოების ინსპექტორად და მენეჯერად)
- ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორად
- შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მრჩევლად
- ნარჩენების დამუშავება-მოცილების სპეციალისტად
- სახელმწიფოს შრომის ინსპექტირების სამსახურებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად



პროგრამა

# ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეძლებს საწარმოში მიიღოს და დაამუშაოს პირველადად ხილი და ბოსტნეული, აწარმოოს წვენები, განახორციელოს სწრაფგაყინვა, მოამზადოს ტარა დასაფასოებლად, შეამოწმოს ნიმუშების პარამეტრები, უზრუნველყოს ხილისა და ბოსტნეულის შენახვის უნარიანობა, გამოაშროს და აწარმოოს ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებული პროდუქტები.

**პროფესიული სასწავლებელი:**

სსიპ - კოლეჯი “აისი”

**მდებარეობა:**

გურჯაანი

**დასაქმების სფერო:**

- ხილის, ბოსტნეულისა და მსგავსი პროდუქტების დამკონსერვებლად
- საკვებისა და მსგავსი პროდუქტების გადამამუშავებელი მანქანების ოპერატორად
- შესაფუთი, ჩამოსასხმელი და ეტიკეტის დასაკრავი მანქანების ოპერატორად
- ხელით მფუთავად სახელმწიფო უწყებებსა და კერძო კომპანიებში



პროგრამა

# ჰაერის კონდიცირება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეძლებს ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემების პრინციპული სქემების გამოყენებას, მიწოდებული სამუშაო ნახაზების წაკითხვასა და მათ საფუძველზე ხელმძღვანელის მითითებულ ადგილზე საჭირო ჰაერსატარების და აპარატურის მონტაჟს/დემონტაჟს, ამასთანავე, ვენტილაციისა და კონდიცირების სამუშაოების შესასრულებლად საჭირო დროის, მასალების, ხელსაწყოების დამოუკიდებლად განსაზღვრასა და გამოყენებას.

| პროფესიული სასწავლებელი: | მდებარეობა: |
|---|---|
| სსიპ - კოლეჯი „სპექტრი" | თბილისი |
| სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა" | ქობულეთი |

**დასაქმების სფერო:**

- გათბობისა და ჰაერის კონდიცირების სისტემების მონტაჟის სპეციალისტად
- გათბობის და ჰაერის კონდიცირების სისტემების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტად



| უნივერსიტეტი | საფეხური | რეგისტრაციის ნომერი | პროგრამის დასახელება | კვალიფიკაცია | აკრედიტაციის ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 559592 | აგროინჟინერია | ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში | დეკემბერი, 2026 |
| სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 154 | სასურსათო ტექნოლოგია | სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი | დეკემბერი, 2025 |
| სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 66 | აგრარული ტექნოლოგიები | აგრონომიის ბაკალავრი | დეკემბერი, 2025 |
| სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 151 | სატყეო საქმე | სატყეო საქმის ბაკალავრი | დეკემბერი, 2025 |
| სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 67 | მევენახეობა და ენოლოგია | აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი | დეკემბერი, 2025 |
| სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 55 | მეცხოველეობა | მეცხოველეობის ბაკალავრი | დეკემბერი, 2025 |
| სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 50 | ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია | ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში | დეკემბერი,2026 |
| სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 54 | აგრონომია | აგრონომიის ბაკალავრი | დეკემბერი,2025 |
| სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 442166 | გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) | გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის ბაკალავრი | დეკემბერი,2027 |
| სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 96 | აგრონომია | აგრონომიის ბაკალავრი | დეკემბერი,2025 |

| უნივერსიტეტი | საფეხური | რეგისტრაციის ნომერი | პროგრამის დასახელება | კვალიფიკაცია | აკრედიტაციის ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 109 | სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზა | სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი | დეკემბერი,2025 |
| სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 8552 | ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში | ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში | დეკემბერი,2026 |
| ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 28 | აგრონომია | აგრონომიის ბაკალავრი | დეკემბერი,2025 |
| ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 30 | ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე | სატყეო საქმის ბაკალავრი | დეკემბერი,2025 |
| ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 46 | სასურსათო ტექნოლოგია | სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი | დეკემბერი,2025 |
| ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 29 | მევენახეობა-მეღვინეობა | აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი | დეკემბერი,2025 |
| სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 36 | აგრონომია | აგრონომიის ბაკალავრი | დეკემბერი,2025 |
| სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 37 | სასურსათო ტექნოლოგია | სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი | დეკემბერი,2025 |
| ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი" | ბაკალავრიატი | 803 | აგრარული მეცნიერებები | აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი | დეკემბერი,2025 |
| სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბაკალავრიატი | 49696 | აგრონომია (ქ. ახალციხე) | აგრონომიის ბაკალავრი | დეკემბერი,2032 |

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი

info@eiec.gov.ge

eiec.gov.ge

+995 32 2 11 20 23